



ბაღდათის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება

სხვადასხვა საკვები პროდუქტების

შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

CPV (15800000)

სატენდერო დოკუმენტაცია

2017 წელი

ქ. ბაღდათი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	8
4. დამატებითი ინფორმაცია	13
5. დანართი N1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა	14
6. დანართი N2 რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და ვადა.....	15

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა)

შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

თუ პრედენდენტის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და მის მიერ დაფიქსირებულ ფასად სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. დასკვნა მომზადებული უნდა იყოს სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.

2. ტექნიკური დავალება

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრედენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ მოთხოვნებზე

2.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები

პროდუქტების დასახელება	ზომის ერთეული	სავარაუდო ზღვრული რაოდენობა	ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები	CPV-კოდი
შაქარი	კგ.	2775	უმადლესი ხარისხის, ფერი-თეთრი ან მოყვითალო; კრისტალური, ფხვიერი, მშრალი, მინარევების გარეშე, უცხო გემოს გარეშე; დაფასოებული ქარხნული წესით 5-10 კოლოგრამიან ტომრებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის მითითებით.	15830000
კაკაო	კგ.	154	უმადლესი ნატურალური კაკაოს ფხვნილი, საკვები დანამატებისა და სხვა მცენარეული მინარევების გარეშე, არაალკალიზირებული, ცხიმის რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 15 %-სა. სტრუქტურა ერთგვაროვანი, პუდრივით წმინდა, კონსისტენცია ფხვიერი, მშრალი ფერი მოყავისფრო, პროდუქტისატივის დამახასიათებელი სუნითა და გემოთი, უცხო ნაწილაკებისა და მინარევების გარეშე, დაფასოებული 0,5-1 კგ. პაკეტებში. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის, შენახვის პირობების და შემადგენლობის მითითებით.	15884000
ჩაი	კგ.	130	უმადლესი ხარისხის, კონსისტენცია მშრალი, ფხვიერი, ფერი მოყავისფრო, დაფასოებული უნდა იყოს 0,1-5 კგ-იან ყუთებში ან პაკეტებში; უცხო ნაწილაკებისა და მინარევების გარეშე; საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის, შენახვის პირობების და შემადგენლობის მითითებით.	15860000
მარილი	კგ.	505	მაღალი ხარისხის; იოდიზირებული; უცხო ნაწილაკებისა და მინარევების გარეშე; მშრალი, დაფასოებული უნდა იყოს 0,5-1 კგ-იან ყუთებში ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის, შენახვის პირობების და შემადგენლობის მითითებით.	15872400
მაკარონი	კგ.	1547	უმადლესი ხარისხის, ფიგურული ფორმის, ქარხნული წარმოების, დამზადებული უმადლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან, ფერი მოყვითალო, სუნი ნესტისა და ობის გარეშე, დაუტეხავი, დაფასოებული ქარხნული წესით 5-10 კგ-იან შეფუთვაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის, შენახვის პირობების და შემადგენლობის მითითებით.	15851100
ვერმიშელი	კგ.	1050	უმადლესი ხარისხის, ქარხნული წარმოების, დამზადებული უმადლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან, ფერი მოყვითალო, სუნი ნესტისა და ობის გარეშე, დაუტეხავი, დაფასოებული ქარხნული წესით 5-10 კგ-იან შეფუთვაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის, შენახვის პირობების და შემადგენლობის მითითებით.	15851000

პეჩენია	კვ.	1008	უმალესი ხარისხის, ქარხნული წარმოების, მშრალი, სუნი ნესტისა და ობის გარეშე, დაფასოებული ქარხნული ვაკუუმ პაკეტებში, მინიშნებული უნდა იყოს შემადგენლობა, დამზადებისა და შენახვის ვადა. ერთი ცალი არანაკლებ 20 გრამიანი.	15820000
ვაფლი	კვ.	777	უმალესი ხარისხის, ქარხნული წარმოების, მშრალი, სუნი ნესტისა და ობის გარეშე, მინიშნებული უნდა იყოს შემადგენლობა, დამზადებისა და შენახვის ვადა. ერთი ცალი არანაკლებ 25 გრამიანი.	15800000

შენიშვნა: შესყიდვის მოცემული რაოდენობა არის ზღვრული, რომელიც შეიძლება შემცირდეს ფაქტიურად ა.ა)ი.პ. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვთა გამოცხადების საფუძველზე.

სავარაუდო ღირებულება 23 532 (ოცდასამიათას ხუთასოცდათორმეტი) ლარი.

2.2. შესყიდვის მიწოდების ვადა, ადგილი და ფორმა

2.2.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, თვეში ორჯერ რაოდენობა და მიწოდების თარიღი განისაზღვრება შემსყიდველისაგან წინასწარ მიღებული შეკვეთის საფუძველზე, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2.2. მიწოდებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ქ. ბაღდათში სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 15 საბავშვო ბაღში შემდეგ მისამართებზე:

#	ბაღების დასახელება	ბაღების მისამართები
1	ბაღდათის ს/ზ #1	ბაღდათი. თამარ-მეფის ქ. 18
2	ბაღდათის ს/ზ #2	ბაღდათი. კახიანის ქ. 43
3	დიმის ს/ზ #1	სოფ. დიმი
4	დიმის ს/ზ #2	სოფ. დიმი
5	დიმის ს/ზ #3	სოფ. დიმი
6	ფერსათის ს/ზ	სოფ. ფერსათი
7	წითელხევის ს/ზ	სოფ. წითელხევი
8	როხის ს/ზ	სოფ. როხი
9	როკითის ს/ზ	სოფ. როკითი
10	ვარციხის ს/ზ	სოფ. ვარციხე
11	პირველი ობჩის ს/ზ	სოფ. 1ობჩა
12	მეორე ობჩის ს/ზ	სოფ. 2ობჩა
13	წყალთაშუის ს/ზ	სოფ. წყალთაშუა
14	ხანის ს/ზ	სოფ. ხანი
15	დიდვლის ს/ზ	სოფ. დიდველა

3. ანგარიშსწორება.

3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და ხარჯის გათვალისწინებით.

ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, თვეში ორჯერ, არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღისა საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები.

4.1. საკვები პროდუქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16.09 #301/ნ ბრძანების „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები“-ს მოთხოვნებს.

4.2. საკვები პროდუქტის შენახვისა და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნას სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

4.3. შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანებაში.

მიწოდებულ საკვებ პროდუქტების ნიმუშზე „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს აკრედიტაციის ცენტრის“, აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ გაცემული დასკვნა, რომლითაც დადასტურდება საკვები პროდუქტების ვარგისიანობა და შესაბამისობა ტექნიკურ დავალებაში მოცემულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებთან.

5. სატენდერო წინადადების ღირებულება.

5.1. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვა).

პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

6. ფასების ცხრილი დანართი #1 –ის შესაბამისად.

ფასების ცხრილი

დანართი #1

პრეტენდენტის დასახელება _____

შესყიდვის ობიექტი	შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები; ტექნიკური და არისხობრივი აღწერა	წარმოშობის ქვეყანა, მოდელი, კომპანია	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	2	3	4	5	6	7

(პრეტენდენტის დასახელება)

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

(თარიღი ბ.ა.)

(ხელმოწერა)

7. პრეტენდენტის შეთავაზება დანართი #2 –ის მიხედვით

დანართი #2

პრეტენდენტის შეთავაზება

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2	სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:	
3	ინფორმაცია საქონლის მიწოდების ვადების შესახებ:	

(პრეტენდენტის დასახელება)

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

(თარიღი ბ.ა.)

(ხელმოწერა)

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. ბაღდათი 2017 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ბაღდათის ა.(ა).ი.პ. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, და მეორეს მხრივ _____ მისი _____ სახით, იურიდიული მისამართი _____ (შემდგომში მიმწოდებელი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა სხვადასხვა საკვები პროდუქტების CPV(15800000) შესყიდვაზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ----- ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება)

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შესყიდვების კოორდინატორი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, ერთეულის ფასი, საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 (ტექნიკური პარამეტრები)

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია ბაღდათის ა.(ა).ი.პ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 15 საბავშვო ბაგა-ბაღში.

4.2. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით (ტექნიკური პარამეტრები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით (ტექნიკური პარამეტრები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

5.5. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ბაღდათი, კახიანის #43 – სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 3 (სამი) დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით

მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორსმაჟორული პირობების გარდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის „ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 % –ის ოდენობით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10% –ის ოდენობით.

13.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10% –ის ოდენობით.

13.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

13.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულები შესრულებისადმი.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და უნდა აღმატებოდეს 30 დღით საქონლის მიწოდების ვადას.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია -- ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ----- ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“; ---- ეგზემპლარი „შემსყიდველთან“

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

4. დამატებითი ინფორმაცია:

5.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიაში. საკონტაქტო პირი: ნინო გრძელძე ტელ: 595 95-12-72

5. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

სატენდერო წინადადების ფასი;

სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;

შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის- სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

6. რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა

პრეტენდენტის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის მისამართი: საიდენტიფიკაციო

კოდი: პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებულ სატენდერო წინადადების ფასი:

/პრეტენდენტის დასახელება/

დირექტორი:

/ხელმოწერა/